ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის

ოქმი №6

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N 65

08.05.2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას (ალექსანდრე ლილუაშვლის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ჩიკვაიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ტოხვაძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, გელა ღვიტიძე, რამაზ არველაძე, გრიგოლ მატარაძე.

საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი -**ლუიზა ჯოგლიძე.**

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული სტუმრები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ივანე **მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ ,,კომუნალური გაერთიანების" მთავარი სპეციალისტი - **ბადრი ფირანაშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის აპრილის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს.: გელა ჩიკვაიძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის (2023-2027 წლები) დამტკიცების შესახებ;

მომხს.: ბადრი ფირანაშვილი

3. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის N გ-65.65221035 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: მამუკა ნამიჭეიშვილი

4. „ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10/03/2023 წლის N გ-65.65230692 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს.: მამუკა ნამიჭეიშვილი

5. "ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების სარგებლობის ფორმის, სარგებლობის ვადის და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის თაობაზე" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მაისის N 27 9 განკარგულებით, ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტად შეტანილი, ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 8320 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 31.01.24.207) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე

მომხს.: ზვიად კაპანაძე

6.ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხს.: ზვიად კაპანაძე

7.ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხადეველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხს.: ტარიელ ძაგნიძე

8.ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულებისა და ბიუჯეტის სარეზარვო ფონდიდან თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;

მომხს.: ივანე მამფორია

9.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

მომხს.: ალექსანდრე ლილუაშვილი

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2023 წლის 8 მაისის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის 2023 წლის 02 მაისის N65.-6523122001 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, აპრილის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 744 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2023 წლის 10 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბადრი ფირანაშვილმა წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის (2023-2027 წლები) დამტკიცების შესახებ."

მომხსენებლმა მოკლედ განმარტა, რომ სტრატეგიის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ევროკავშირის ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან. სტრატეგიის განხორციელების მიზნით შემუშავებულია ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საქართველოს ნარჩენების მართვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილებია.
ნარჩენების მართვის კოდექსი მუნიციპალიტეტებს აძლევს ერთად მუშაობის საშუალებას. ჩვენი მუნიციპალიტეტის მსგავს საქმიანობაში ჩართული არ არის. გეგმის მოქმედების განმავლობაში მუნიციაპლიტეტი შეისწავლის თუ რა სახის თანამშრომლობა დამყარდეს მეზობელ მუნიციპალიტეტებთან. უპირველეს ყოვლისა ყურადღება გამახვილდება სხვადასხვა საკითხებზე. უკვე ნახსენები თემებთან ერთად მეზობელ მუნიციპალიტეტბთან თანამშრომლობა აგრეთვე შეეხება ბიოდეგრარირებადი ნარჩენების შეგროვებასა და რეციკრირებას, ასევე საჯარო ცნობიერების ამაღლების საკითხებს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 10 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 აპრილის N გ-65.65221035 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ისრითში წყალმომარაგების სათავე ნაგებობა და წყლის სისტემა ამორტიზირებულია. არის წყლის მარაგის დიდი დანაკარგი. აღნიშნული წყალმომარადების ობიექტზე და მის ინფრასტრუქტურაზე ოპერირებას არ ახორციელებს სასმელი წყლისა და წყალარინების მომსახურების მომწოდებელი შესაბამისი ლიცენზიანტი.

პროექტი ითვალისწინებს სათავე ნაგებობის და შემკრებ-გამანაწილებელი სისტემის რეაბილიტაციას.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 10 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10/03/2023 წლის N გ-65.65230692 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შუამთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ჭყვიში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ჩართულობით შერჩეული და 2023 წელს განსახორციელებელ პროექტებში საჭირო გახდა შეტანილიყო ცვლილება, წარმოდგენილი სათანადოდ შედგენილი ოქმის და მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მოთხოვილია პროექტებში ცვლილების შეტანა, პროგრამიდან ამოსაღებია „სახიდე გადასასვლელის მოწყობა (არსებული მასალებით)“ღირებულებით 3400 /სამიათას ოთხასი/ ლარი. ლოკაცია სადაც უნდა მოწყობილიყო სახიდე გადასასვლელი სანაპირო ზოლი ჩამოშალა მდინარემ. აღნიშნულის გათვალისწინებით ხორციელდება პროექტის ამოღება. თანხა 3400 ლარი გადაემატება 8000 ლარიან პროექტს „მდინარე ყუმურზე გადასასვლელის მოწყობა“.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 10 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების და სარგებლობის უფლებით გადასაცემ ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების სარგებლობის ფორმის, სარგებლობის ვადის და წლიური საიჯარო ქირის განსაზღვრის თაობაზე" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მაისის N 27 9 განკარგულებით, ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტად შეტანილი, ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 8320 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ 31.01.24.207) საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე"

მომხსენებელმა აღნიშნა რომ, არ მოხდა ამ ობიექტის პრივატიზება სავარაუდოდ მაღალი ფასის გამო. ამიტომ ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადავწყვიტეთ საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 250000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 10 მაისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურმა 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განახორციელა 24 ერთეული უძრავი ნივთის პრივატიზება, აქედან 9 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, 14 ერთეული სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და ერთი ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის.

1. ქ. ვანში, სააკაძის ქუჩაზე მდებარე 732 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ31.01.29.440)
2. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 38 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი(ს/კ 31.01.26.513)
3. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში მდებარე 26 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისნაკვეთი. (ს/კ 31.03.28.299)
4. ქ. ვანში გ. ტაბიძის ქუჩაზე მდებარე 1870 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ31.01.23.181)
5. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 26 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი(ს/კ 31.01.22.383)
6. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 26 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი(ს/კ 31.01.22.382)
7. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. მთისძირში მდებარე 35000 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.31.252)
8. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 320 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. (ს/კ 31.13.22.356)
9. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 144 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის
ნაკვეთი. (ს/კ 31.13.22.355)
10. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 346 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.291)
11. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 401 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.290)
12. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 1236 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.287)
13. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. დიხაშხოში მდებარე 2057 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.286)

14. ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ბზვანში მდებარე 24 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. (ს/კ 31.08.24.341)
15. ვანის მუნიციპალიტეტში სოფ. ზეინდარში მდებარე 6100 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.17.21.776)
16. ვანის მუნიციპალიტეტში სოფ. დიხაშხოში მდებარე 2000 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.24.773)
17. ვანის მუნიციპალიტეტში სოფ. დიხაშხოში მდებარე 950 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.07.26.263)
18. ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. ბზვანში მდებარე 1041 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.08.24.410)
19. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში მდებარე 16500 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის,ნაკვეთი (ს/კ 31.03.21.358)

20. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 797 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.21.561)
21. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სულორში მდებარე 575 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.18.23.273)

22. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. სალხინოში მდებარე 253 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.06.23.065.616)
23. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 66 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.396)
24. ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 27 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ31.01.22.397)
ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პრივატ129995 (ას ოცდაცხრა ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.
სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით გაიცა, ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ.დიხაშხოში მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებული 100 კვმ ფართი.წლიური საიჯარო ქირის ღირებულებამ შეადგინა 1100 (ათას ასი) ლარი.
სამსახურმა 2022 წლის დასაწყისში მოამზადა სრიგპ-ის საგრანტო პროექტი - „უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - გადიდში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და მასთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია“. რომელმაც გაიმარჯვა ევროკავშირის მიერ დასაფინანსებელ კონკურსში. პროექტის სრული ღირებულებაა 2 572 774 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალიწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მოხსენებელმა ტარიელ ძაგნიძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხადეველობის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა,რომ ზედამხედველობის სამსახური ხელმძღვანელობს რა სამსახურის დებულებით, ახორციელებს მერიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებარე ნაგებობების შესაბამისობის ზედამხედველობას საპროექტო, ნორმატიულ და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან, არქიტექტურულ და სამშენებელო სამუშაოების დადგენილი წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, გარე რეკლამის განთავსების, გარე ვაჭრობის მოწესრიგების, კეთილმოწყობის წესებსა და გარე იერსახის კონტროლს, ახორციელებს საკრებულოსა და მერიის გადაწყვეტილებების აღსრულებას.

მიმდინარე წელს დასრულდა 2021 წლის გარდამავალი პროექტები: 1. სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულში სანიკიანების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. 2. ქ. ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. 3. ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში ბზვანი-ზედაბზვანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

მიმდინარე წელს დაიწყო და განხორციელდა შემდეგი პროექტები:

პირველი ეტაპი (წლის პირველი ნახევარი).

ქალაქ ვანში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, ჯამური ღირებულებით 479962 ლარი

ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი) ჯამური ღირებულებით 483796 ლარი.

ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია ჯამური ღირებულებით 728292 ლარი.

დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია ჯამური ღირებულებით 483889 ლარი.

ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია ჯამური ღირებულებით 307000 ლარი.

შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო საავტომობილო გზების რეაბილიტაცია ჯამური ღირებულებით 332892 ლარი.

მეორე ეტაპი (წლის მეორე ნახევარი).

დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია ღირებულებით 94627 ლარი.

ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ჯამური ღირებულებით 417397 ლარი.

ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ჯამური ღირებულებით 213159 ლარი.

სალხინოს ადმინისტრაციულ ერთეულში ჯვარისერის ბონკოს უბანში ჯვარისერის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ღირებულებით 222428 ლარი.

გორას ადმინისტრაციულ ერთეულში გიორგაძეების უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ღირებულებით 177826 ლარი.

ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში ტობანიერი-კუშუბოურის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ღირებულებით 221943 ლარი.

რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დასრულდა და მიმდინარეობს პროექტები ჯამური თანხით 4898797 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტის სოფლის მცხოვრებთა მიერ შერჩეულ იქნა 69 პროექტი. რგპფ-ის ფონდის პროგრამით დაფინანსდა 580000 ლარით, თანადაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 644488 ლარი. დაკონტრაქტებულია და მიმნდინარეობს 61 პროექტი, დასრულებულია 36 პროექტი.

წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მუნიციპალური განვითარების პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 4163211 ლარი; რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში (ევროკავშირის მონაწილეობით) 4898797 ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 644488 ლარი. ჯამურად მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის დახარჯულმა თანხამ შეადგინა 9706496 ლარი.

განახლებული რეგიონების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ქალაქ ვანში, თამარ მეფისა და თავისუფლების ქუჩების რეაბილიტაცია, პროექტი გარდამავალია და შემდგომ ეტაპზე მოიცავს სხვა ქუჩებსაც.

2022 წლის განმავლობაში კომპანიებზე დაკისრებული პირგასამტეხლოს სახით ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 107053 ლარის ოდენობით.

წლის განმავლობაში ზედამხედველობის სამსახურის მიერ დასუფთავების გადასახადის სახით მობილიზებულ იქნა 21672.29 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ;

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულებისა და ბიუჯეტის სარეზარვო ფონდიდან თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;

ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 22 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 27 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 11000,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 11300,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 300,0 ათასი ლარით. პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში ორჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 16353,2 ათასი ლარის, გადასახდელები 17624,8 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1271,6 ათასი ლარის მოცულობით.

2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 16153,2 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო პერიოდის გეგმა 4347,6 ათასი ლარით. ბიუჯეტში მობილიზებულია 3941,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 24,4% -ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 90,7% -ს შეადგენს.

გადასახადების 2023 წლის საპროგნოზო მოცულობა 9347,8 ათასი ლარით, ხოლო პერიოდის გეგმა 2536,0 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული 2184,9 ათასი ლარი წლიური გეგმის 23,4 % და საანგარიშო პერიოდის გეგმის 86,2%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2023 წლის გეგმა 6361,8 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდის გეგმა 1686,6 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 1685,0 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 25,5%-ით, ხოლო პერიოდის გეგმა 99,9%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 443,6 ათასი, ხოლო პერიოდის 125,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 71,4 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 16,1%, პერიოდის გეგმის 57,1% ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 11728,3 ათას ლარს, პერიოდის კი 3420,2 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 3231,8 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 27,6% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 94,5%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული წლიური 5640,5 ათასი ლარით განისაზღვრა, პერიოდის გეგმა კი 1490,0 ათასი ლარით. საკასო შესრულება 1195,0 ათასი ლარია, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 21,2% და საანგარიშო პერიოდის გეგმიური მაჩვენებლის 80,2% ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნების წლიური გეგმა 17624,8 ათას ლარს, ხოლო პერიოდის გეგმა 4925,2 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებაა 4438,2 ათასი ლარი, წლიური გეგმის 25,2% და პერიოდის გეგმის 90,1%.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2023 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 39,7 ათასი ლარი გამოიყო, რომელიც სოციალური უზრუნველყოფის მუხლით მიიმართა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ცნობად იქნა მიღებული ინფორმაცია ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულებისა და ბიუჯეტის სარეზარვო ფონდიდან თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;

დღის წესრიგის მე-9 საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2023 წლის 10 მაისის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 10 მაისის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგი. (დანართი N2)

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე